სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 დეკემბერი, 2023 წ.

# წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N 07-01/63

**ბსუ-ს სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, „ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/55 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და საბჭოს სხდომის ოქმის (11.12.2023, N07-02/15) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

**გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ბსუ-ს სტრუქტურა წინამდებარე გადაწყვეტილების **N1 დანართის** შესაბამისად და ძალაში შევიდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.
2. 2024 წლის 1 იანვრიდან **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/04 **გადაწყვეტილების N1 დანართი** (ბსუ-ს სტრუქტურა).
3. გადაწყვეტილება და დამტკიცებული ახალი სტრუქტურა გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, შესაბამის ველებში.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება დაგზავნოს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და ბსუ-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,**
**პროფესორი** **ჯემალ კარალიძე**

,,ბსუ-ს სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე“

**ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის N07-01/63 გადაწყვეტილების**

**N1 დანართი**

**ბსუ-ს სტრუქტურა**

ბსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს/თანამდებობის პირებს და ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს და აჩვენებს მათ დაქვემდებარებას. **უნივერსიტეტის სტრუქტურაში აღნიშნულია შემდეგი მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები:**

1.1.უნივერსიტეტის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

1.2.რექტორის მოადგილეები;

1.3. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები - ფაკულტეტები (1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 2. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; 4. ტურიზმის ფაკულტეტი; 5. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი; 6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი; 7. ტექნოლოგიური ფაკულტეტი);

1.4.დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (შემდეგში - ინსტიტუტები): 1. ნიკო ბერძენიშვილი ინსტიტუტი; 2. აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი; 3. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი;

1.5.ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა;

1.6.უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი;

1.7.<u>უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები:</u>

ა) მართვის ორგანოების სამდივნოები/აპარატები: რექტორის აპარატი; ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამდივნო; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სამდივნო; ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო;

ბ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტი (მათ შორის სამსახურები: სასწავლო პროცესის მართვის; დიპლომებისა გაცემისა და რეესტრის; სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის);

გ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი (მათ შორის განყოფილებები: სტუდენტთა მხარდაჭერის; კულტურისა და სპორტის);

დ) საგამოცდო ცენტრი;

ე) სამეცნიერო კვლევების სამსახური;

ვ) სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;

ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
თ) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური;
ი) იურიდიული დეპარტამენტი;
კ) საქმისწარმოების სამსახური/კანცელარია (მათ შორის ადამიანური რესურსების მართვის მიმართულება; საქმისწარმოების მიმართულება);
ლ) საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი (მათ შორის სამსახურები: შესყიდვების; აღრიცხვა-ანგარიშგების (ბუღალტერია));
მ) ბსუ-ს გამომცემლობა;
ნ) მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი (მათ შორის: დასუფთავების განყოფილება; უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი);
ო) დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური (მათ შორის დაცვის განყოფილება);
პ) მთავარი შიდა აუდიტორი.

1.8. **უნივერსიტეტის ფაკულტეტების დამხმარე სტრუქტურული ერთეულები** (ბსუ-ს საშტატო ნუსხაში აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები ან რომლებიც დაკვეთების საფუძველზე ახორციელებენ მომსახურებას), მათ შორის:

**ა) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:** იურიდიული კლინიკა; ფსიქოლოგიური კლინიკა;

**ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე:** სტომატოლოგიური კლინიკა ,,ბსუ დენტი"; დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრი; სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი; დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრი.

**გ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:** თარგმანისა და ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი;

**დ) ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე** (აგრარული სკოლა; აგრარული ექსტენციის ცენტრი; სასწავლო-საცდელი ბაზა; საშენი მასალების და სამშენებლო კონსტრუქციების ლაბორატორია.

**ბსუ-ს სტრუქტურა** (გრაფიკულად)

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის N07-01/63 გადაწყვეტილების დანართი N1